



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7



2013 წლის 14 იანვარი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #237 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #237 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის 2013 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 101840 ლარით დანართის შესაბამისად“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი დანართით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების

ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტში განთავსებულ მთავარ ბიბლიოთეკას, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საბავშვო ბიბლიოთეკას და დაბა სურამში განთავსებულ ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება როგორც ადგილობრივ ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს არამარტო წიგნით არამედ პრესით და ინტერნეტით.

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, &nbსპ; ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს აადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები **101840** ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიების ოდენობა
21	შრომის ანაზღაურებასSromis	71592
22	საქონელი და მომსახურება	30248
	სულ	101840

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა.
- ბიბლიოთეკით მომსახურეობის გაუმჯობესება.
- სერვისით მომსახურეობის გაუმჯობესება.